

NanoSet® 888

ქიმიური დანამატი ბეტონისთვის, შეკვრის დაჩქარების, წყლის შემცირების მაღალი ხარისხით/ სუპერპლასტიფიკატორი და ანტიფრიზი ცივ ამინდში ბეტონირებისთვის

პროდუქტის აღწერა

ეს პროდუქტი უნდა დაემატოს ხსნარის მოსამზადებელ წყალს ან ახალ ბეტონს. ახალ ბეტონზე დამატების შემთხვევაში უნდა მოხდეს დამატებით შერევა მინიმუმ 3 წუთის განმავლობაში. პროდუქტი არ უნდა დაემატოს მშრალ ნარევს.

გამოყენება

NanoSet 888-ის გამოყენება რეკომენდებულია შემდეგი შემთხვევებისა და მიზნებისთვის:


- ცივ ამინდში ბეტონირებისათვის გაყინვის წერტილთან მიახლოებული ტემპერატურის პირობებშიც კი.
- ყინვის ზემოქმედებისგან ბეტონის დასაცავად და ნაადრევი მაღალი სიმტკიცის ხარისხის უზრუნველსაყოფად, ცივ ამინდში ბეტონის ჩასხმის სამუშაოების წარმოებისას.
- ცივ ამინდში ბეტონირებისათვის როდესაც მოსალოდენლია ყინვა.
- არმირებული ბეტონი მაღალი დენადობის კოეფიციენტით
- ბეტონის ნაადრევი სიმტკიცის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

უპირატესობები და მახასიათებლები

- იცავს ახლად მომზადებული ბეტონის ნარევს ყინვის ზემოქმედებისგან, ანაზელი წყლის გაყინვის წერტილის შემცირებით.
- აჩქარებს ცემენტის ჰიდრატაციას, გაყინვის წერტილთან მიახლოებული ტემპერატურის პირობებშიც კი.
- ამცირებს 5 მჰა სიდიდის მინიმალური სიმტკიცის ხარისხის მისაღებად საჭირო დროს, ყინვისგან გამოწვეული დაზიანებების თავიდან ასაცილებლად ადრეულ ეტაპზე.
- ზრდის ბეტონის სიმტკიცეს და შრობის ხანმედეგობას, ინარჩუნებს დაბალი წყალი/ცემენტის ფარდობის კოეფიციენტს.
- ზრდის სიმტკიცის მიღწევის სიჩქარეს და ნაადრევი სიმტკიცის ხარისხს.
- არ შეიცავს ქლორიდს ან სხვა ნივთიერებებს, რომლებმაც შეიძლება, გამოიწვიოს კოროზია.

მოხმარების წესები, რჩევები და გაფრთხილებები

• NanoSet 888 უნდა დაემატოს ანაზელის წყალს ან ახლად მომზადებული ბეტონის ნარევს. ახლად მომზადებულ ნარევზე დამატების შემთხვევაში, საჭიროა დამატებით კიდევ მინიმუმ, 3 წუთი არევა. NanoSet 888 არ უნდა დაემატოს მშრალ ნარევს.

- ქვემოთ მოცემულია ზოგადი დამცავი ზომები, რომელთა გატარება რეკომენდებულია ცივი ამინდის პირობებში დაბეტონების სამუშაოების წარმოებისას:
 - გამოიყენეთ ცემენტის ის ტიპი (C3S -ის მაღალი შემცველობით და წვრილმარცვლოვანების მაღალი ხარისხით), რომელიც მეტ სითბოს გამოყოფს ჰიდრატაციისას
 - ნაკლები წყლის / ცემენტის შეფარდება
 - შემცირებული დაჯდომის ხარისხი
 - ცემენტის გაზრდილი დოზა
 - არ გამოიყენოთ სხვა მინერალური დანამატები, მიკროკაჟმიწის გარდა
 - გაატარეთ დამატებითი დამცავი ღონისძიებები, რომლებიც არ ეხება ბეტონის მომზადებას (უპირატესობა მიანიჭეთ ფიცრის ყალიბებს, გამოიყენეთ თბილი წყალი, გაათბეთ აგრეგატები, და სხვ.)
- იზოლირება გაუკეთეთ ახლად ჩასხმულ ბეტონს და ყურადღება მიაქციეთ დაყოვნებას (წყალში დაყოვნება არ არის რეკომენდებული ყინვასთან მიახლოებულ პირობებში, რადგან გაჯერებული ბეტონი უფრო მეტად მოწყვლავადია ყინვის ზემოქმედების მიმართ. არ დაუშვათ ტენიანობის დაკარგვა იზოლაციის გამოყენებით).
- იქიდან გამომდინარე, რომ ქიმიური დანამატების დოზაზე დიდ გავლენას ახდენს ცემენტის ტიპი, ბეტონის შემადგენელი ელემენტების თვისებები და ბეტონის ნარევის კომპონენტების შერჩევა, რეკომენდებულია, დანამატების ოპტიმალური დოზა განისაზღვროს საცდელი ანაზღელების საფუძველზე.
- რეკომენდებულია ჰაერშედლწევადი ქიმიური დანამატების გამოყენება, გამყარებული ბეტონის გაყინვა-გაღაღობის მიმართ გამძლეობის ხარისხის ასამღლებლად. NanoSet 888 თავსებადია ჰაერშედლწევად ქიმიური დანამატებთან
-  ბეტონის სიმტკიცის ნაადრევი მაჩვენებელი განისაზღვრება საცდელი ანაზღელების საფუძველზე, ყალიბების ნაადრევ მოხსნამდე.

რეკომენდებული დოზები

ცემენტის მასის 0.20 დან 2.0 % - მდე.

ჩვენი რეკომენდაცია დოზირებაზე ტემპერატურის მიხედვით:

ტემპერატურა:	-5° C	-10° C	-15° C
დოზირება ც/მ	1.0 %	1.5 %	2.0%

ტექნიკური მახასიათებლები

Colour and form	Brown – liquid
Chemical base	Calcium nitrate salt
Density (kg/ltr)	1.18 – 1.22 (at +20 °C)
Chloride ion content	0.1% max - Chloride free acc. to TS EN 934-2.
pH	3,00 – 7,00
Freeze point	< -15 °C
Conformity	TS EN 934-2 Table 6

ინსტრუმენტების გასუფთავება

პროდუქტთან დაკავშირებით გამოყენებული ინსტრუმენტების გასუფთავება შესაძლებელია მარტივად, წყლის გამოყენებით.

შეფუთვა

30 kg drum

1000 კგ IBC

მიწოდება დიდი მოცულობის პარტიებით

შენახვის პირობები და შენახვის ვადა

პროდუქტის შენახვის ვადა შეადგენს 24 თვეს, რეკომენდირებული შენახვის პირობებში ორიგინალი შეფუთვით შენახვის შემთხვევაში. პროდუქტი შენახული უნდა იქნას მშრალად, +10 °C-დან+35 °C-მდე ტემპერატურაზე. მთავრად პროდუქტი პირდაპირი მზის სხივებს, პროდუქტის გაყინვის შემთხვევაში, მისი გამოყენება შესაძლებელია ოთახის ტემპერატურის პირობებში ნელა გაღვობის და მორევის გზით მისი ჰომოგენიზაციის შემდგომ. დაუშვებელია გაყინული პროდუქტის ცეცხლთან გაღვობა.

უსაფრთხოება და ჯანმრთელობა

კანზე მოხვედრის შემთხვევაში, დაიბანეთ კანი სუფთა წყლით. თვალში მოხვედრისას, დაიბანეთ თვალი სუფთა წყლით. თვალში მოხვედრისას, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ პასპორტი მასალის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (MSDS).

სამართლებრივი პასუხისმგებლობა

პროდუქტის პასპორტში მოცემული ტექნიკური სახის რეკომენდაციები ემყარება ბეტონის იმ

ნარევებზე ჩატარებულ ექსპერიმენტულ კვლევებს, რომლებიც შემუშავდა LYKSOR-ის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის ლაბორატორიებში. მიღებული შედეგები შეიძლება, არ გამოდგეს ბეტონის სხვა ნარევებისთვის, რომლებიც მიღებულია Lyksor-ის ცდებში გამოყენებული მასალისგან განსხვავებული მასალებისგან. ყველა კლიენტი და მომხმარებელი ვალდებულია, თავად განსაზღვროს LYKSOR-ის შესაბამისი პროდუქცია საკუთარი მიზნებისთვის, და შეამოწმოს LYKSOR-ის პროდუქციის შესაბამისობა თავიანთი საჭიროებისთვის. გთხოვთ, დაუკავშირდით LYKSOR-ს, შესაბამისი პროდუქტის შესარჩევად და მათი მოხმარების წესებზე ინფორმაციის მისაღებად. LYKSOR-ი არ არის პასუხისმგებელი მისი პროდუქტების არასათანადო გამოყენებაზე.